H-F-H
History-Film-History

1960-იან წლებში ბრიტანული კინო გარდამავალ პერიოდში აღმოჩნდა. სტუდიებიდან, რომლებიც ომის შემდგომ პერიოდში დომინირებდნენ, მხოლოდ Rank at Pinewood და Associated British at Elstree გადარჩნენ.

1962 წელი ღირშესანიშნავი იყო ჯეიმს ბონდის წარმატებული ფრენჩაიზის, ფილმ "Dr No"-ს გამოსვლით. მოგვიანებით, იმავე ათწლეულში, „Swinging London“ (კულტურული მიმდინარეობა დიდ ბრიტანეთში), ისეთი საერთაშორისო რეჟისორების ყურადღება მიიპყრო, როგორებიც იყვნენ მიქელანჯელო ანტონიონი, ფრანსუა ტრიუფო და ჯოზეფ ლოზი, რათა ფილმები დიდ ბრიტანეთში გადაეღოთ. მიუხედავად ამისა, ყურადღებას იქცევდა სოციალურად მნიშვნელოვანი დრამატული ფილმები, გადაღებული 1960-იანი წლების დასაწყისის "ბრიტანული ახალი ტალღის" მიერ, როგორიცაა კარელ რეისის "შაბათი ღამე და კვირა დილა" და ლინდსი ანდერსონის "ეს სპორტული ცხოვრება".

სხვა რეჟისორები, რომლებიც ასოცირდებოდნენ 1950-იანი წლების თავისუფალი კინოს მოძრაობასთან, ახლა ბრიტანული კინემატოგრაფიის წინა პლანზე იყვნენ. ისეთ ფილმებში, როგორებიცაა ტონი რიჩარდსონის „გრძელ დისტანციებზე მორბენალის მარტოობა“ და ჯონ შლეზინგერის „ერთგვარი სიყვარული“ მონაწილეობდა დინამიური ახალგაზრდა მსახიობების ახალი თაობა, როგორებიც იყვნენ ალბერტ ფინი, ტომ კორტნეი და რიჩარდ ჰარისი.

ეს კინორეჟისორები ემხრობოდნენ მოსაზრებას, რომ კინო უნდა გაემიჯნოს კლასობრივ შეხედულებებს და რომ მუშათა კლასი ბრიტანეთის ეკრანებზე უნდა ჩანდეს. 1966 წელს, რეჟისორმა კენ ლოუჩმა თავისი სატელევიზიო დოკუმენტური დრამით "Cathy Come Home" (კეტი, დაბრუნდი სახლში) განიხილა ისეთი სოციალური საკითხები, როგორიცაა უსახლკარობა, უმუშევრობა და სოციალური სერვისების მუშაობა. 1967 წელს გადაღებული მისი პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი "ღარიბი ძროხა" ასახავს მუშათა კლასის მარტოხელა დედის ცხოვრებას, რომელიც ლონდონის ღარიბთა უბანში ცხოვრობს.

ლოუჩის მიერ ერთი წლის შემდეგ გადაღებული ფილმი "კესი" ეფუძნებოდა ბარი ჰაინსის ნახევრად ავტობიოგრაფიულ რომანს "Kestrel for a Knave" (შევარდენი ყრმისთვის).

ფილმი მოგვითხრობს თხუთმეტი წლის ბილი კასპერზე, მუშათა კლასის ბიჭზე, რომელიც ბარნსლიშში, გაჭირვებულ ოჯახში გაიზარდა, მხოლოდ დედასთან ერთად. ბილის სირთულეები აქვს სკოლაში, იგი განწირულია ატესტასტის გარეშე დარჩეს. ეშინია, რომ თავისი უფროსი ძმის კვალდაკვალ წავა, რომელსაც გულისგანმგმირავად დაბალანაზღაურებადი სამუშაო აქვს ადგილობრივი ქვანახშირის მაღაროში.

ლოუჩის ავთენტური მიდგომა თავისი მუშათა კლასის სუბიექტების მიმართ, რეალური ადგილების და, ძირითადად, არაპროფესიონალი მსახიობების გამოყენებით, ქმნის 1960-იან წლებში იორკშირის წიაღისეულის მოპოვების დაბალანაზღაურებად რაიონებში ცხოვრების თანაგრძნობით გამსჭვალულ პორტრეტს.

ბილი ამ ცხოვრებას შევარდენის ბარტყის მეშვეობით გაურბის, რომელსაც "კესს" უწოდებს. მან გადაარჩინა ჩიტი და ნადირობის ხელოვნებაში წვრთნის, რასაც თვითონაც მოპარული წიგნიდან სწავლობს. აქედან ჩანს მისი უნარები და პოტენცია, თვისებები, რომლებიც სკოლის სისტემამ მასში ვერ შეამჩნია.

ბრიტანული განათლების სისტემის მდგომარეობის ასახვას და კარგი მასწავლებლის მნიშვნელობას ხაზი ესმევა ბილის ერთადერთი გულშემატკივრის, ინგლისური ენის მასწავლებლის, მისტერ ფართინგის სახით (რომლის როლს კოლინ ველენდი ასრულებს). ის აღიარებს ბილის პოტენციალს და მოკლე ხნით ბიჭის მამის როლს კისრულობს, რომლის არყოფნაც საგრძნობია.

ლოუჩი ფართინგს უპირისპირებს ბილის სპორტის მასწავლებელს, მისტერ საგდენს (რომელსაც ბრედფორდის ყოფილი მასწავლებელი და ერთ დროს პროფესიონალი მოჭიდავე ბრაიან გლოვერი თამაშობს). სუგდენი ავტორიტარული სისასტიკით იქცევა ფეხბურთის ცნობილლ სცენაში, სადაც ის მსაჯობს და ფანტაზიორობს, თითქოს, ბობი ჩარლტონი იყოს, მანჩესტერ იუნაიტედიდან!

ლოუჩის წინა ნამუშევრის ვიზუალურ ეფექტებზე გავლენა მოახდინა ახალი ტალღის ფრანგმა რეჟისორმა ჟან-ლუკ გოდარმა, რომელმაც აჩვენა ხელის კამერით მუშაობა, გადასვლები და მუსიკის ჭრები. თუმცა, ფილმი "კესი" სტილში გადამწყვეტი ცვლილების საწინდარი აღმოჩნდა.

მიუხედავად იმისა, რომ "Cathy Come Home"-ის დოკუმენტური ესთეტიკის გარკვეული ელემენტები შენარჩუნებული იყო, ფილმში "კესი", ლოუჩმა და ოპერატორმა კრის მენგესმა გადაწყვიტეს მიეღოთ ზუსტი, მშვიდი დაკვირვების სტილი. კამერის ამოცანა იყო მოქმედების თანაგრძნობით ასახვა, შეუმჩნევლად, ზედმეტი სტილიზაციის გარეშე.

„კესი“ ჩრდილოეთ ინგლისის და ბრიტანელი მუშათა კლასის მაკომპრომეტირებელი მოლოდინების ძირითად პორტრეტად იქცა.

Co-funded by the European Union
Creative Europe MEDIA